№ 642 ოთხშაბათი, 30 სექტემბერი. 1896—1898 ოთხშაბათი, 30 სექტემბერი № 642

სტამბა და რედაქცია ტფილისი, სასახლის ქ., სათ.-აზნაურო ქარვასლა.

ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართავენ რედაქციას დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 და „წ. კ. საზ." წიგნის-მაღაზიას.

ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.

პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.

ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.

თითო ნომერი 3 კაპიკი

ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ ვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція „Цнобисъ Пурцели" Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.

Телефонъ № 363.

**დავით ივანეს ძე კეზელი, თავ. იორამ ბეჟანის ძე, ალექსანდრა და კონსტანტინე ხერხეულიძენი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებას მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 27 ენკენისთვეს პირველი—მეუღლისა, მეორე—ქალისა, მესამე და მეოთხე—დისა

**ეკატერინე იორამის ასულ კეზელისას**

და სთხოვენ მობრძანდნენ მიცვალებულის დაკრძალვაზე ხუთშაბათს, 1-ლ ღვინობისთვეს დილის 10 საათზე ს. საშაბუროში. (2—2)

გაზეთი **„ცნობის ფურცელი"**

წლის დამლევამდე

## ღირს 2 მანათი

## კრება დრამატ. საზოგადოებისა

დანიშნული პარასკევს, 25 სექტემბერს, რადგან საკმაო წევრთა დაუსწრებლობით არ შესდგა, ამიტომ იგივე კრება დანიშნულია **კვირას, ოქტომბრის 4-ს**, შუადღის 12 საათზე, სათ.-აზნ. ბანკის დარბაზში.

კრება კანონიერი იქნება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. კენჭის ჩამოტარების უფლება იმას მიეცემა, ვისაც წლის საწევრო ფული აქვს შემოტანილი.

## ქართველ საზოგადოების საყურადღებოდ




ქართველ ხელოსანთა ამხანაგობა **„შრომა"**.

ტფილისის ქართველ ხელოსნებმა დიდი ხნის სურვილი განიხორციელეს, შეადგინეს ამხანაგობა და გახსნეს საამხანაგო ქარხანა.

**ქარხანა იღებს პირიანად და იაფად აკეთებს საქმეებს: სადურგლოს, სასტალროს, საჩუქურთმოს, სახარატოს (ტოკარი)**

იაფად და ხმელის მასალისას.

**ამზადებს: მაგიდებს, შკაფებს, კამოდებს, კრაოტებს, ბუფეტის შკაფებს, შენობებისთვის კარს, ჩარჩოს და სხვა, ყველანაირს ხის საქონელს.**

მუშტარი მოიკითხავს ქარხანაში უფროსს ოსტატს, რომლისაგანაც შეიტყობს ყოველს ნივთზე გადაწყვეტილს ფასს.

მმართველობა ამხანაგობისა სასტიკს ყურადღებას მიაქცევს, რომ ფასები ერთი და იგივე იყოს ყველასათვის, მასალა მშრალი და საქმე შესრულებული დაპირებულ ვადაზე.

პატივის-ცემით: გამგეობა **„შრომის"** ამხანაგობისა

ადრესი: ხიდზედ, მუხრან-ბატონის შენობაში. (100—39)

## მცხეთაში

**ხუთშაბათს, 1-ლ ოქტომბერს** სვეტიცხოვლობის დროს (მცხეთობა)

## „არმაზის" ბაღში

დილის 10 საათიდან საღამოს 9 საათამდე დაუკრავს **სამხედრო მუსიკა**

ბაღში ავდრისათვის გამართულია მრავალი ფარდულები, ცალკე ოთახები, კარვები და სხვა თავ-შესაფარი.

ბუფეტში იყიდება ყოველგვარი სასმელები, საჭმელი ადგილობრივი და ევროპიული.

## ფასი ყველაფერზე ზომიერია

(3—2) ბაღის პატრონი ე. ჩხარტიშვილი

**ქუთაისი**

ქალაქის თეატრში

**შაბათს, 10 ოქტომბერს 1898 წ.**

ყოვლად-სამღვდელო გაბრიელის იაფ-ფასიან წიგნთ-საცავის სასარგებლოდ

გამართული იქნება:

I

პირველი მოქმედება ოპერისა

## ნორმა

II

ორი უკანასკნელი მოქმედება ოპერის

## ტრავიატა

უმთავრეს როლებს შეასრულებენ ქ-ნი მნელამისა და ტენორი ბ-ნი **კოვალენსკი**

## ექიმი

კ. მ. ჩიქოვანი

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 11—12-მდე და საღამოს 7—8 საათ.

მიხეილის ქუჩა, № 16.

Докторъ **К. М. Чиковани**

Михайлов., № 16.

დოქტორი მედიცინისა და ქირურგი

## ბენკლევსკი

ავადმყოფებს ღებულობს დილის 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

გრიბოედოვის ქუჩა, არშაკუნისეული სახლი № 30.

**Докторъ медицины и хирургъ**

**БЕНКЛЕВСКІЙ**

Грибоѣдовская № 30, д. бывш Аршакуни. (წ.)

## ვექილი

## ი. ი. ზურაბოვი

გადავიდა სუდებნი ქუჩაზე, სახ. № 15. (10—10)

**სტუდენტი** ეძებს გაკვეთილებს ან სხვასაქმეს. მოიკითხონ ავჭალის ქუჩაზე, № 9 ნაუმოვის სადგომი, ან „ცნ. ფურცლის" რედაქციაში. (6—6).

## მხატვარი

## გ. გაბაშვილი

**გაკვეთილებს აძლევს** კავკასიის სამხატვრო საზოგადოების დარბაზში, გრიბოედოვის ქ. № 5. მსურველთ ადრევე უნდა ჩაეწერნენ. (10—8)

ქართველ ქალთა ამხანაგობის

## სამკერვალო

**გადავიდა** სადგომად ბარონის ქუჩაზე, თამამშოვის სახლებში № 12.

მიიღებენ შეგირდებს და საკერავს პირველ ოქტომბრიდან.

სახელოსნოს მმართველად მოწვეულია კაბების კერვის ჩინებულად მცოდნე ქ. ჟილიაევისა.

სამკურნალო და ამბულატორია

## ს. გ. თოფურიასი

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმოფნი: შინაგანის, ნერვების, საქირურ-

გო, თვალისა და დედათა ავადმყო-
ფობისანი,
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ
მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11-საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია**. საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს **ფ. კ. გერრატი**.

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი**.

20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r **ფ. ბაცევიჩი**.

თვალების ავადმყოფობას—**ი. კ. ვარშავსკი**.

ამბულატორიაში არის კაბინეტია საექიმო და საბაქტეოროლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და საჟისთვის.

სამკურნალო დირექტორი **ს. ბ. თოფურია**.

*Лѣчебница С. В. Топурія* въ Кутаисѣ.

# ახალი ამბავი

*** † **ი. თ. სარაჯიშვილი.** 27 სექტემბერს ტფილისში უდროვოდ გარდაიცვალა ახალგაზდა ქართველი ნიჭიერი მემუსიკე მეჭიანურე ივანე სარაჯიშვილი. განსვენებულმა დაამთავრა კურსი მოსკოვის კონსერვატორიაში 1886 წ. დიდი ვერცხლის მენდლით პროფ. ფიტცენგაგენთან. კურსის დამთავრების შემდეგ ის ცოტა ხანს ტამბოვში იყო „რუსეთის სამუსიკო საზოგადოების“ სამუსიკო კლასების დირექტორად, შემდეგ კი (1887 წ.) ჩამოვიდა ტფილისში, სადაც აგრეთვე მასწავლებლობა დაიწყო. განსვენებულს არა ერთხელ მიუღია მონაწილეობა საქველ-მოქმედო საღამოებში, სადაც კონცერტს მართავდა.

*** **ცრუ ისტორია.** ამ მოკლე ხანს პარიზში გამოსულა გალუსტ-კლუბაკიანის მოგზაურობა საქართველოში და კავკასიაში. ეს მოგზაური სწერს თურმე, რომ წმინდა ნინო სომეხი იყოო. ამგვარად ბევრს კიდევ სხვა ცნობას ასხვაფერებს და ამახინჯებს. ამ მოგზაურობას თავის დროზე ჩვენს მკითხველებს ვაცნობებთ.

*** **საქართველოს ისტორიის შესახებ.** ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი ბ-ნი მორფილი სწერს მ. გ. ჯანაშვილს, რომ გავიცანი თქვენი ისტორიული და კრიტიკული ნაწერები, რომელთა შესახებ მოხსენებას წარვუდგენ ლონდონის სამეცნიერო საზოგადოებას. თქვენი ქვეყანა ინგლისის საზოგადოებისთვის. ჯერ ხანობით „terra incognita“-აო და ვეცდები როგორმე გავაცნო ჩემს მამამოძმეებს ეგ მშვენიერი ქვეყანა. ქვეყანა, სადაც აღიზარდნენ შოთა, მოსე ხონელი და სხ. წარჩინებულნი და დიდებულნი მოღვაწენიო, იწერება პროფესორი. და ამასთანავე აცხადებს, რომ თქვენს „საქართველოს ისტორიას“ განვუზიარებ ალბიონის შვილებსაო.

*** გუშინ, 29 სექტემბერს, დილის 9 საათზე, დუელი მოუხდათ ა—ეს და ხ—ძეს. მძიმედ დაიჭრა ხ—ძე.

*** **ახალი სავაჭრო სამრეწველო გადასახადი.** 25 სექტემბერს ტფილისის სახაზინო პალატაში მოხდა სხდომა ახალ სავაჭრო სამრეწველო გადასახადის შესახებ. ამ სხდომაზე ვაჭრობისა და მანუფაქტურის დეპარტამენტის დირექტორმა ვ. ი. კასანევსკიმ სხვათა შორის განმარტა შემდეგი: თუმცა ახალი კანონი არ მოითხოვს ძველი სისტემის ძირითად ცვლილებას, მაგრამ მაინც შემოაქვს ისეთი ახალი წესი, რომელსაც შეუძლია ნიადაგის მომზადება სხვა, უფრო გაუმჯობესებელ შემოსავლის დაგვარ სისტემაზე გადასასვლელად. კანონ-მდებლის მიზანია, რაც შეიძლება, მტკიცედ და სწორედ იქმნეს განსაზღვრული სავაჭრო-სამრეწველო წარმოებათა შემოსავალ-გასავალი და მოგება. კანონმდებელი ცდილობს გაუადვილოს უფრო წვრილი წარმოება და ამისათვის გადააქვს გადასახადების სიმძიმე უფრო სხვილ, განსაკუთრებით აქციონესულ წარმოებაზე. ახალ კანონს გადამხდელთ მხრივ ადვილად შეხვდება სხვა და სხვა გვარი სიძნელე და ამიტომ იმ პირთ, და დაწესებულებათ, რომელთაც ეკისრებათ ეს საქმე, პირველ ხანებში ძალიან ფრთხილად უნდა იმოქმედონ.

ახალი სავაჭრო-სამრეწველო გადასახადი შემოღებულ იქნება მთელ იმპერიაში, განაპირ ქვეყნების გამოუკლებლივ, მომავალ წლის 1-ლ იანვრიდან.

*** **რკინის გზების საქმე.** ოქტომბრის პირველ რიცხვებში სახაზინო რკინის გზების სამმართველო პეტერბურგში შეუდგება გზების ახალ ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას. ამის გამო გუშინ პეტერბურგში გაემგზავრა ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსი ე. ლ. ველენეევი.

*** **ნავთიან ადგილების გაცემა.** გუშინ, 29 სექტემბერს, ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა მიწის მზომელი ოსმან-ბეკ მუფთი-ზადე გაემგზავრა სიღნაღის მაზრის სოფ. ჩათმოში, სადაც შეუდგება მუშაობას ზოგიერთ პირებს ნავთიან ადგილების გასაცემად. საგანგეგებო კომისია გაემგზავრება იქვე ნოემბრის პირველ რიცხვებში.

*** **პოლიტეხნიკუმის დაარსება კავკასიაში.** „ნოვ. ობ.“-ს პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: „Новое Время“ იუწყება, რომ სახალხო განათლების სამრეწველო სასწავლებელთა განყოფილების მართველის ტაინ.-სოვ. ანოპოვის ენერგიულ მოქმედების მეოხებით, განზრახვა აქვთ დაარსონ პოლიტეხნიკუმი კავკასიაშიო.

*** **საჩივარი მეშჩანთა გამგეობის არჩევნებზე.** ამ დღეებში განასაჩივრეს ტფილისის მეშჩანთა და ხარკის ამკრეფ მამასახლისების, მათი კანდიდატების, სასამართლოს წევრთა და მეშჩანთა დეპუტაციების არჩევანები. მომჩივნებს თავიანთ საჩივარში, რომელიც გუბერნატორს წარუდგინეს, სხვათა შორის აღნიშნული აქვთ, რომ არჩევნებში მონაწილეობა მიიღეს არა მეშჩანებმაცაო.

*** **საკადეტო კორპუსის დაარსება.** ტფილისის საკადეტო კორპუსი დაარსდა 1878 წ. 7 ივნის. იმ ჟამად მთავარ-მართებლად ბრძანდებოდა მათი იმპერატორებითი უმაღლესობა დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოოზის ძე. რომლის მეცადინეობით ეს კორპუსი დაარსებულ იქმნა თანხმად უმაღლესის ბრძანებისა 1876 წ. 5 ივლის. სულ საშტატო ადგილია 262 კაცისთვის. ამ რიგათ სამხედრო პროგიმნაზია გადაკეთებულ იქმნა სამხედრო გიმნაზიად, და რადგან ყოველივე ეს დიდი მთავრის მეცადინეობით გაკეთდა, ამის გამო კორპუსის დამაარსებლად ითვლება მისი უმაღლესობა. 1882 წ. სამხედრო გიმნაზია გადაკეთებულ იქმნა კორპუსად. ამ წლის კურსი დაამთავრა კორპუსში ყმაწვილთა პირველად-კი 1881 წ. დაასრულა კურსი სულ 16 კაცმა. მას შემდეგ აგერ მე-19-ე რიგობა ასრულებს კურსს. დღეს კორპუსში სწავლობს სულ 352 კაცი სახელმწიფო ხარჯზე და 32 კაცი გარედან მოსიარულე.

*** **ტფილისიდან ბაქომდე.** ტფილისიდამ ბაქომდე თითქმის ერთი დღე და ღამე უნდება მატარებელი. გასცდებით თუ არა ტფილისიდან ორ-სამ სადგურს, გადაგეშლებათ თვალ-წინ ერთი დიდი მინდორი, რომელიც გაშლილია დასავლეთიდგან აღმოსავლეთისკენ, ხოლო სამხრეთ-ჩრდილოეთისკენ კი მწკრივათ ჩარიგებული კავკასიის მთები ჰფარავს და ჩაჰყვება კასპიის ზღვამდე. ტრიალი მინდორი ისე ვერ აკმაყოფილებს და იტაცებს თქვენს თვალს, როგორც საქართველოს დასავლეთის მხარის მწვანით მობიბინე მდელოები. აქ ბუნებას დაუჩაგრავს და სრულიად მოუსპია მცენარეობა. მზის სხივებს მთლად მოუხმია მცენარის ფესვი. მართალია, ალაგ-ალაგ დარჩენილა ზოგიერთი „გაუსხებული“ მცენარე, მაგრამ ისიც დასნეულებულა, დაუკარგავს მშვენიერების ელფერი და გატრუსულა.

მთებიც ტიტვლები გადმოიყურებიან, არა აქ მოსჩანს ტყე და მწვანით მოსილი ფერდობები. მაღლა მთის წვერვალზე ქარის გრიგალს მრისხანეთ უტევია და სულ თეთრი ქვის ყორყები გამოუჩენია. რამდენიც უფრო უახლოვდებით ბაქოს მით უფრო ცარიელდება მთა და მინდორი; აი საცაა მიუახლოვდით და ცარიელი ქვიშა, ჰქენჭოს ხედავთ ირგვლივ. რასაკვირველია ალაგ-ალაგ შეხვდებით ბოსტნეულებს, ქალაკებს, რომელსაც გარშემო საშინელი ჭაობი შემორტყმია; შიგ არის ამოსული დახავსებული იელი. მდინარეს და წყაროებს აქ ვერსად შეხვდებით და თუ შეხვდებით, ისიც ჭაობის გამონაწრეტს, რომელიც საძაგლ ი ყარს.

სოფლებიც მოსჩანს ლიანდაგის აქეთ იქით. მცხოვრები თათრები არიან, თუმცა შიგა და შიგ სომხებიც ურევიან. მცხოვრებნი მებოსტნეობას და მხვნელ-მთესველობას უფრო მისდევენ. აქაურს ხალხს სიღარიბის ბეჭედი აძევთ, რადგან მკაცრს ბუნებასთან ბრძოლას დაუჯაბნავს. შენობები სულ მიწურია, რადგანაც ზაფხულობით აქ საშინელი კოღო და ქინქლა იცის და მცხოვრებნი მიწურში აფარებენ თავს.

ამ რიგათ ადვილად შეგვიძლიან დასკვნა გამოვიყვანოთ, რა მძვინარებით იქნება მოდებული ციებ-ცხელება. მართლაც და აქაური ხალხის სახე რაღაც ყვითლად გამოსულ ლორს წააგავს. მეტადრე აწუხებს აქაური ჰავა უცხო ხალხს. ქ. ტფილისს გასცდებით თუ არა, ხილეულობა ძალიან მრავლად შეგხვდებათ, მაგრამ ეს ხილი ძალიან მაწყენარია. ეს იმიტომ, რომ მყრალი ჭაობის წყ ით ირწყვის. შემდეგში ბაქოს მახლობელს ადგილებზე და ბაქოზედაც მოვილაპარაკებთ.

ივ. კავთელი

*** **ს. ლეხოური** (გურია). **სოფლის ჩამორჩენა.** ლეხოური ქ. ოზურგეთზე ოთხი ვერსით არის დაშორებული. ადგილ-მდებარეობით კოპწია ლამაზ სოფელს წარმოადგენს, და ბუნებით უხვად არის დაჯილდოვებული, ერთი სიტყვით სხვა სოფლებთან შედარებით უკეთეს სოფლად ჩაითვლება. მხოლოდ

სამწუხარო ის არის, რომ სხვა სოფლებზე სწავლა-განათლებით უკან დგას. გარდა ამისა, მთელი სოფელი რომ გადაათვალიეროთ ალმასის თვალით ერთს იმისთანა კაცს ვერ ჰპოვებთ, რომ საზოგადო საქმეზე ერთი კრინტი დასძრას, ვერ ნახავთ იმისთანა კაცს, რომ ან ბიბლიოთეკაზე თქვას რამე, ან სწავლა-განათლებაზე, ან წარმოდგენაზე, ან შემნახველ-გამსესხებელ კასა-ამხანაგობაზე; მიუხედავად იმისა, რომ აქ ბლომად არიან ისეთი პირნი, რომელთაც შეუძლიანთ იზრუნონ და იმეცადინონ სოფლის საკეთილდღეოთ, მაგრამ ამათ უფრო კარტ-ნარდის თამაშობა აინტერესებთ. ყველა სოფლებში, სადაც ორასი კომლი ითვლება, ბიბლიოთეკაც კი არის აქ კი ბიბლიოთეკა ხომ აინუნშიაც არ მოუვათ, თუმცა მცხოვრებთა რიცხვი სამას ათას აღემატება.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თვითონ აქაური ხალხი ყოველ კეთილ საქმეს თანაგრძნობით და ენერგიით ეკიდება, ოღონ ვინმე ჩააგონოს და გააგებინოს საქმის მნიშვნელობა ყოველთვის მზათ არიან უკანასკნელი ძალ-ღონე იხმარონ, რომ არ ჩამორჩნენ მეზობელ სოფელს არაფერში.

მ. ლეხოურელი

*** **სოფ. საზანაო** (იმერეთი) **მაზრის უფროსის მობრძანება.** დაინიშნა თუ არა ბ-ნი ი. დ. ნეტკაჩოვი შორაპნის მაზრის უფროსად, ჩვენს სოფელსაც ეწვია. სასოფლო სამმართველოსთან მას დახვდა მრავალი ხალხი, რომელსაც ბ-ნმა მაზრის უფროსმა თარჯიმანის შემწეობით შემდეგი სიტყვებით მიჰმართა: მე დღეს თქვენთან მიტომ მოვსულვარ, რომ მინდა გავიგო რა გაკლიათ, რა გაწუხებთ, მოსამართლეები და მამასახლისი როგორ გეპყრობათ და რით შეიძლება ჩემგან დახმარებაო. ხალხმა განუმარტა მაზრის უფროსს ყოველივე თვისი საჭიროება და სხვათა შორის სთხოვეს: 1) მოგვაშორეთ ის ორიოდე ქურდ-ბაცაცები, რომლებისგან დიდად შევიწროებულნი ვართო და 2) ვალდებული გახადეთ ის პირნი, რომლებიც ქ. ქუთაისში არიან მიწერილნი, ხოლო ცხოვრებით-კი აქვე ცხოვრობენ, რომ მათაც ჩვენთან ერთად დააკმაყოფილონ საზოგადოების ყოველი მოთხოვნილებაო. ბ-ნმა მაზრის უფროსმა მისცა ხალხს მამობრივი დარიგება და აღუთქვა ყოველივე შემწეობა. სხვათა შორის მაზრის უფროსმა ხალხს მისცა წინადადება, გაამრავლეთ სკოლები, რომ თქვენმა შვილებმა ისწავლონო. ამაზე ხალხმა მოახსენა: ყოფილ მამასახლისის და საქმეთა მწარმოებლის დაუდევრობის გამო ჩვენს საზოგადოებაზე ირიცხება წარსულის წლის სახელმწიფო გადასახადი (ნედოიმკა) სამი ათას მანეთზე მეტი, გარდა ამისა მრავალი სხვა ხარჯებიც გვაწევს, ამიტომ წელს არ შეგვიძლია სკოლის დაარსება, ხოლო მომავალი წლიდან-კი ვეცდებით ამ საქმის დაგვირგვინებასო. ამის შემდეგ ბ-ნმა მაზრის უფროსმა ურჩია ხალხს, იქონიეთ მზრუნველობა გზების შესახებ, რომ ყოველთვის კარგი გზები გექნეთო, ყველანი ერთგვარათ ემსახურეთ კანონს და არ იყვეს თქვენში გარჩევაო.

— **ავადმყოფობა ხალხში.** აქეთ ყვავილი ძლიერ გახშირდა და ბევრიც იმსხვერპლა. ადგილობრივმა მამასახლისმა მრავალჯერ მისცა წინადადება ადგილობრივ ამცრელს კახნიაშვილს, ხალხს ყვავილი აუცერიო, მაგრამ იგი არ ასრულებს ამ წინადადებას და მხოლოდ ამას გვეუბნება: მე თქვენს საზოგადოებაში თანაშემწე დავიყენე და ის აგიცრისთო. ჩვენდა სამწუხაროდ, თვითონაც ვერაფერი შვილი ამცრელია და აბა მისი დაყენებული თანაშემწე რაღა იქნება? საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს, ვისგანაც ჯერ არს.

ჩიხორელი

*** **ს. საჯიჭაო** (სამეგრელო). **მაიმუნები ჩვენში.** აგერ 8—10 ღამეა, რაც ერთი აქაური გლეხის სახლში მოდის რაღაც სულიერი, რაც თიხეულობა—ქოთანი, კოკა და ამისთანები შეხვდება, ყველაფერს ამტვრევს და ქვებსაც ესვრის ხოლმე. სახლის პატრონმა იფიქრა: უთუოდ ვინმე მეზობელთაგანი ოინობსო და ბევრი არაფერი ყურადღება მიაქცია, მხოლოდ ადგილობრივ პოლიციას შეატყობინა. მამასახლისმა შეძლებისა-დაგვარად ზომები მიიღო, მაგრამ ვერას გახდა. ბოლოს და ბოლოს, როცა საშველი არ მიეცა, ბევრი კაცები პოლიციელებითურთ მოაგროვა და უდარაჯეს. ერთიც ვნახით, [illegible] დროს, კიდევ ისროლა ქვა და დაინახეს ორი რაღაც ბავშვების ოდენა სულიერნი პანჯღვლიანები და თმებით ტან-შებურვილნი. ერთი სადღაც გაჰქრა, გაიპარა, ხოლო მეორემ ველარ მოახერხა ესა: იქით ეცა, აქეთ ეცა, მაგრამ ყოველგან კაცები შეხვდა, ბოლოს ერთ გლეხს შეეხეჩა და დაეტაკა, ამ უკანასკნელმა ისე მაგრა დაჰკრა ჯოხი თავში, რომ იქვე სული გააფრთხობინა. თურმე ნუ იტყვით, ეს რაღაც ქვა-სროლია მაიმუნი ყოფილა, მაგრამ საკვირველი ის არის, რომ საიდან გაჩნდნენ აქ მაიმუნები. აქაურ მცხოვრებთ-კი სჯეროდათ, რომ უეჭველად „ჭინკა“ ან ტყის კაცი არისო. ამ შემთხვევიდან ის დასკვნა შეგვიძლია გამოვიყვანოთ, რომ ის მაჯლაჯუნა, ალი, ქინკა და ტყის კაცი („ჩოკორი“), რომელნიც ელანდებათ ჩვენს სოფლელებს, უთუოდ ეს მაიმუნები უნდა იყვნენ.

გურულ-მეგრელი

*** **ს. ოძისი** (ქართლი). **ღვთობის შედეგი.** კარგა ხანია ჩვენ უკვე პურის და სიმინდის რთველს მოვრჩით. ახლა შიგა და შიგ ყურძნის რთველსაც ვიწყებთ. შემოდგომას, რასაკვირველია, ქეიფითა და ლხინით გავისტუმრებთ. საკვირველი მხოლოდ ის არის, რომ მკვდარი თუ ცოცხალი უთუოდ შემოდგომაზე მოგვაგონდება და იმათი სიყვარულით ჩვენ ღვინით სავსე ჯამებს გადავკრავთ ხოლმე. მოგეხსენებათ, ქართული სიყვარული სადღეგრძელოს ყლაპვაშია, თუ არ დავცალეთ სადღეგრძელო ან შესანდობარი, იქ მკვდრები დაგვემდურებიან და აქ ცოცხლებს ეწყინებათ.

როცა უღვინობაა, მაშინ ხალხშიაც მშვიდობიანობაა, ხოლო როცა ღვინო გვაქვს, მაშინ-კი ყოველგვარი ავადმყოფობა იჩენს ხოლმე თავს, ავადმყოფობის გაძლიერებას აქაურნი ქრისტეშობისთვეს აბრალებენ: ეს თვე ნაკიანიაო და ამიტომ ამ თვეში ბევრი ხალხი იხოცებაო. მართლაც, ამ თვეში ბევრი იხოცება აქ. ამის უმთავრესი მიზეზი, რასაკვირველია, ამ თვის ნაკიანობა-კი არ არის, არამედ ლოთობა: უგრძნობლად დათვრებიან რომელსამე ქორწილში ან ქელეხში, შემდეგ დაცივდებიან და, რასაკვირველია, ავად გახდებიან. მაშინვე ეცემიან ან ალევის მკითხავს, ან ლამიყანისას ისინიც დაუსახელებენ ხან ლომისას, ხან სამებას, ან რომელსამე სხვა ხატსა და ხალხს ხარჯში აგდებენ.

ნაგრილი

*** **ს. ვარდისუბანი** (თელ. მაზრა). **მოსავალი.** წელს აქეთ პურის მოსავალი მეტად კარგი იყო. ნახევარზედ მეტი პურის მოსავლისა უფრო პური იყო, რომელსაც გამოსავალი მეტად ბარაქიანი ჰქონდა. ღვინოც ბლომად მოდის, ვისაც ნაწამლი ვენახები ჰქონდა. ვისაც უწამლავად დარჩა, ყურძენი აღარ უმწიფდებათ, რადგანაც მკათათვის გასულს გასცვივდა ფოთოლი. ნაწამლი ვენახების შესახებ უნდა ვსთქვათ, რომ მომეტებული ნაწილი [illegible] ბისაგან იყო ნაწამლი, ჯილდოს ზოგისგან ნახევარი მოსავალი აქვს დაპირებული, ზოგისგან მესამედი. ასე რომ, სადაც ხუთ მანეთად დაუჯდა წამლობა, იქ ეხლა მოსავლიდან ერთი ან ორი საპალნე ღვინო უნდა შეირგოს.

— **საქონლის ჭირი.** ზაფხულში აქ საქონლის ჭირი იყო. ზოგი დაიხოცა ისე, რომ ბეითალს არ გაუვლია. როცა გაიგო ზომები მიიღო მის მოსასპობად. ხუთი ჭირიანი საქონელი დასწვეს, მათ პატრონებს ფული დაურიგეს. ჯერ აქა იქ კიდევ სჩანს ჭირი.

ნიკ. წინამძღვარიშვილი

*** **ს. ქარელი** (ქართლი). **ბორნის საქმე.** გორიდგან დაწყებული, ვიდრე ბორჯომამდის მდ. მტკვარზედ ურმებისა და ხალხის სავალი ხიდი არსად მოიპოვება. ამიტომ გორს ზემოთ, რამდენიმე ალაგას ბორნებია გამართული გასასვლელ-გამოსასვლელად. ერთი ამისთანა ბორანი მუშაობს ს. ქარელის მახლობლად. ეს ბორანი იჯარით აქვს აღებული ერთ ურიას, ის აწარმოებს, ფულსა ხვეტავს და თავის საქმეს კი კეთილსინდისიერად არ ასრულებს. ბორანი სულზე ერთი შაურია, ცხენზე სამი, ურემზე ხუთი შაური, თუ დაბარგულია ორი აბაზი, ხან სამიც. ჩვენის აზრით, ასეთი გადასახადი უსამართლობაა. ქარელის ბორანი ისეთ ადგილას არის, რომ მიმსვლელ-მომსვლელი ბევრი ხვდება; აბა ერთი მიბრძანეთ, ბორანზე გასვლა-გამოსვლა რომ სამი აბაზი და ოთხი აბაზი დაუჯდეთ, რაღა ხეირი უნდა ნახოს გამყიდველმა?

ბორანი ვერ არის ხეირიანად მოწყობილი: მებორნე ბიჭები მისვლა მოსვლას უძნელებს მგზავრებს. საქმე იმაშია, რომ მებორნეები მტკვრის მარჯვენა ნაპირზე იმყოფებიან. მარცხენა ნაპირზედ კი არავითარი თავ-შესაფარი რამ არ არის. ამ ნაპირიდან რომ ხალხი მოდის გასასვლელად ცდა უნდებათ, რადგან მებორნეს თავის დროზე ბორანი არ გამოაქვს და დასაცდელი ალაგი კი არ იპოვება, უბრალო ჩამოსაჯდომიც კი არსადაა, რომ კაცმა დაისვენოს. მეტადრე დიდს გაჭირვებაშია მგზავრი ზამთარში და ავდარში, როდესაც ამ ნაპირიდგან არის გამოსასვლელი. მგზავრი უძახის მებორნეს და მებორნე კი გაღმა ოთახში ცეცხლის პირასა ზის და თუ თავისი სურვილი არ არის, ხმასაც არ მოგცემთ. მე ბევრჯელ მინახავს ამ ყოფაში მგზავრი, ბორანის მოლოდინში ამოწუწული და სიცივისაგან აძაგ-ძაგებული. თითონ ჩვენც, თქვენი უმორჩილესი მონა, ჩავარდნილვართ ამ ყოფაში. სარწმუნო პირისაგან გაგვიგონია, რომ ქარელის ბორანს წელიწადში ას თუმანზე მეტი შემოაქვსო. და ნუ თუ ბორანის პატრონს არ ეკუთვნის მეტი მზრუნველობა იქონიოს მგზავრებისათვის და ერთი ფი-

ცრული მაინც დადგას მტკვრის მეორე სანაპიროზედ?..

— **აბანოების საქმე.** ს. ქარელისავე მახლობლად არის გამოჩენილი ხვედურეთის აბანოები და ესეც უპატრონოთ არის მიტოვებულნი. წინედ აქ ბევრი ხალხი დადიოდა და მადრიელნიც იყვნენ ამ აბანოსი, მაგრამ ეხლა შესამჩნევად იკლო, რადგან არავითარი წესიერება აქ აღარ არის, არც ვანებს იძლევიან დროზე, სახლები ძვირია და მოსამსახურეც, რომელიც აქ აბანოებს უდგია, თავის ნებაზეა და არ ემსახურება ხალხს.

ქვაფთელი

*** **ს. ჩიბათი** (გურია). **ქალის მოკვლა.** 28 სექტემბერს, აქ ნ. ქ—ამ გათენებისას რევოლვერით მოჰკლა ბ. გ—შვილის ქალი. მკვლელობის მიზეზად ბევრს რასმე ლაპარაკობენ, მაგრამ დანამდვილებით ჯერ არა ვიცით რა. გამოძიება სწარმოებს. მკვლელი შეპყრობილია.

ჩიბათელი

*** **ს. კულაში** (იმერეთი). **გამარცვა.** 15 სექტემბერს, დილით ვიღაც ბოროტ-გამზრახველნი, რომლებსაც ნიღაბი ჰქონიათ პირზედ აფარებული, დახვედრიან კულაშიდან სამი ვერსის მანძილზე 3 ებრაელ ჩარჩ ვაჭრებს და გაუძარცვავთ. ებრაელებს ფული ბევრი არ ჰქონიათ, რადგან ესენი სოფელ სოფელ დამპალ ფართალში აგროვებენ: ქათმებს, კვერცხებს და სხ. 17 სექტემბერს მაზრის უფროსი გაემგზავრა ბოქაულით და ყაზახებით კულაშში ამ საქმის გამოსაძიებლად.

*** **ს. ტყემლოვანა** (იმერეთი) **ქალების კეტით ჩხუბი.** 24 სექტემბერს, აქაურ მცხოვრების, მეორე გილდის ქალიშვილმა მარიამ ჩინჩალაძის ასულმა კეტით დაბეგვა ამავე სოფელში თავისი მეზობლის ცოლი—ანუსია შველიძის ასული, რომელსაც ხუთგან თავში დაჰკრა კეტი და ოთხგან ტანზე. ჩხუბის მიზეზი სულ უბრალო იყო: ჩინჩილაძის ქალმა შველიძის ქალის ბავშვს დააბრალა შენ მე დანა მომპარეო და რაკი ბავშვმა ამაზე უარი უთხრა, ცემა დაუწყო შეუბრალებლათ. ბავშვმა ყვირილი დაიწყო. ბავშვის ყვირილზე დედა მოეშველა და ამ დროს ჩინჩალაძის ასულმა უშველებელი კეტი დაუშინა საბრალო დედაკაცს, რომელიც რომ არავინ მიშველებოდა, იქვე სულს განუტევებდა.

ეს ჩხუბი მოხდა შუადღისას სასოფლო სამმართველოს მახლობლად. მამასახლისმა ოქმი შეადგინა და ბოქაულს გადასცა.

ნ. გაჩეჩილაძე

## სასამართლოს მატიანე

**საშინელი მკვლელობა.** ტფილისის ოლქის სასამართლოს განყოფილებამ ქ. გორში 21 სექტემბერს ერთი ფრიად საინტერესო საქმე განიხილა გლეხთა ნიკოლოზ და თედო გელაშვილებისა და სპირიდონ კროჰისა, რომელთაც წინად განზრახ კაცის მოკვლა ბრალდებოდათ. აი საქმის გარემოება. ღამით 9 ივლისს 1897 წ., როდესაც მატარებელი სუმბათოვოს სადგურზე მოვიდა, ამავე მატარებლის მაშინისტმა მახვილაძემ სადგურის უფროსს ზიმინს გამოუცხადა, რომ სადგურთან მოახლოვების დროს ლიანდაგზე რაღაც საეჭვო საგანი შევნიშნეო. მაშინვე უფროსი ზიმინი, მახვილაძე და კონდუქტორი ბრიტკევიჩი ლიანდაგზე დაადგნენ და რამოდენიმე მანძილი რომ გაიარეს, ნახეს მატარებლისაგან გასრესილი და თავმოკვეთილი კაცი, რომლის თავი ექვსი საჟენის იქით ეგდო. იქვე სისხლის გუბე იდგა. მაშინვე ეჭვი აღიძრა, რომ ჯერ მოეკლათ კაცი და მერე ლიანდაგზე დაედოთ. მოკლული კაცი დავით დოდოევი აღმოჩნდა, რომელიც ნიკოლოზ გელაშვილთან დუქანში მოსამსახურედ იყო. ხალხში ხმა დადიოდა, რომ დოდოევი ნიკოლოზ და თედო გელაშვილებისა და სპირიდონ კროჰას მოკლულია, რადგანაც ნიკოლოზი დოდოევის ახალგაზდა ცოლს ჰყვარობდაო. პოლიციის გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ დოდოევი მოეკლათ გელაშვილებსა და კროჰს, რომლებიც კიდეც გამოტყდნენ. მკვლელობის მოთავე ნიკოლოზ გელაშვილი ყოფილიყო.

ოლქის სასამართლომ ყველანი დამნაშავედ სცნო და მიუსაჯა— ნიკოლოზ გელაშვილს 12 წლის, ხოლო თედო გელაშვილს და სპ. კროჰს ათ-ათი წლის კატორღა. („ნ. ო.“)

## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

28 სექტემბერი

**კოპენჰაგენი.** ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული და ბერძნების დედოფალი სამეფო გვარეულობის წევრებითა წირვას დაესწრნენ აქაურს მართლ-მადიდებელთა ეკკლესიაში.

**პარიზი.** გაფიცულნი წინანდელზე უფრო დამშვიდებულნი არიან; იმედი აქვსთ, ამ დღეს სერიოზული ინციდენტი არა მოხდებაო.

**პარიზი.** პარიზის გარემოებაში მდგარ გარნიზონებიდან ჯარია აქ გამოგზავნილი. ამ საშუალებას იმიტომ მიჰმართეს, რომ პოლიციას თავისი საქმე გაუადვილონ. ქვის სამუშაოს მოიჯარადრეებმა კალატოზთ გამოუცხადეს, მთავრობას მივმართეთ და ვთხოვეთ მუშაობის თავისუფლება დაიფაროსო. ძხოვნას, როგორც ეტყობა, ყურადღება მიაქციეს, ამიტომ მოიჯარადრენი მუშებს ურჩევენ ისევ დაიწყეთ მუშაობა ორშაბათსაო.

**ალექსანდრია.** სატრანსპორტო გემი, რომელზედაც ორი ბატალიონი მსროლელთა ჯარი ზის, კრიტისაკენ წავიდა.

## ნიხრი,

დამტკიცებული 12 აგვისტოს

| | | | |
|---|---|---|---|
| ძროხის ხორცი 1 ხარისხ. | | 7 | კ. |
| სუკი გირვანქა | „ „ | 12 | კ. |
| ცხვრის ხორცი | „ „ | 8 | კ. |


## განცხადებანი

# ეფედრა

[კუზმიჩის ბალახი]

მსურველთ ეგზავნება ახალი ამ წლის მაისში მოკრეფილი, უმაღლესის ხარისხისა, რჩეული და ყვავილიანი გირვანქა 5 მან., ½ გირვანქა 2 მან. 50 კაპ. ხოლო პირველი ხარისხისა გირვანქა 3 მ., ½ გირვანქა 1 მ. 50 კაპ. (ეგ ფასი გაუგზავნელად არის) გამოწერა შეიძლება ფას-დადებითაც.

ადრესი: უმთავრესი საწყობი ეფედრისა გრიგორი ეფიმის ძე ეფრემოვი, ქალაქ ბუზულუკში, სამარის გუბერნიაში.

ამ ფირმას აქვს მრავალი მადლობის წერილები ეფედრის კარგს თვისებასა და ღირსებაზე.

**ЭФЕДРА**

(трава кузмича)

главный складъ эфедры Григорія Ефимовича **Ефремова**, г. Бузулукъ, Самарской губерніи. (30—23)

# ურბენი L'urbain

საზოგადოება, რომელიც აზღვევს თანხებს, მზითვებს, შემოსავლებს და სხვა. შეღავათიანის პირობებით ავადმყოფობისა თუ შეუძლებლობის დროსათვის.

დაზღვეულთ მონაწილეობა ეძლევათ მოგებაში დაზღვევის პირველ წლიდანვე.

კონტორა ამიერ-კავკასიისა, ამიერ-კასპიისა, თურქესტანისა და ბუხარის მხრისათვის იმყოფება **ტფილისში**, მიხეილის ქ. № 9, პოპოვის სახლი. ტელეფონი № 543.

მთავარი რწმუნებული ბაგრატ გერასიმეს ძე ტერ-მათეუზოვი ინსპექტორი ნიკოლოზ გერასიმეს ძე ტერ-მათეუზოვი.

ცნობანი და ბარათები ყველას მიეცემა აგენტებისაგან მთელს რუსეთის იმპერიის ქალაქებში.

Контора страховаго общ. **„УРБЭНЪ“**

Тифлисъ, Михайловская № 9, д. Попова. Телефонъ № 543. (50—43)

# КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ,

состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:

1) Бухгалтеріи двойной итальянской по разнымъ отраслямъ торговой промышленности,
2) **Коммерческой ариѳметики** (банковыя и торговыя операціи),
3) **Ариѳметики на счетахъ.**
4) **Коммерческой экономіи,**
5) **Торговыхъ и вексельныхъ** узаконеній.

Преподаетъ **И. Я. БРОНЪ ФОНЪ-БРЕННЕРЪ, гл. бухгалтеръ общ. взаимн. сел. хоз. кредита и препод. школы садоводства.**

## Плата за весь курсъ 60 руб.

**Курсъ 3-мѣсячный**, при ежедневныхъ занятіяхъ въ теченіе 2-хъ часовъ, по вечерамъ. Начало занятій—1-е число каждаго мѣсяца.

**Аттестаты за успѣшныя занятія отъ реальнаго училища и школы садоводства.**

Составленная И. Я. Бронъ фонъ-Бреннеръ книга «Коммерческая ариѳметика» содержитъ въ себѣ VII отдѣловъ: 1) ариѳметич. вычисленія на счетахъ 2) монетныя вычисленія, 3) товарныя сдѣлки, 4) вексельныя операціи, 5) торговыя товарищества, 6) банки и ихъ операціи, 7) биржевыя операціи (520 задачъ и таблицы). Цѣна 2 руб. **Продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ и у автора: Михайловская ул., № 71, и Барятинская, сельско-хоз. банкъ.** (100—50)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 29 Сентября 1898 г. სტ. „ცნ. ფურც.“ (გ. ჭუნიასი), რედაქტორ-გამომცემელი ვ. ჭუნია